თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5538270

ნომერი: AR1842298

თარიღი : 05.08.2021

გაცემის თარიღი : 12.08.2021

გაცნობის თარიღი : 12.08.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბოჭორმის ქუჩა N18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა გოდუაძე პ/ნ 01027015754
- თბილისი ტაშკენტის ქუჩა 10 ა ბინა 12

ორგანიზაცია:

- სს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველო" კოდი: 202359009

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს: საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რომელიც განთავსებულია ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში, და კოდიციონერის გარე აგრეგატის მოწყობა შესაძლებელია მისი მოწყობა განხორციელდეს ეზოს მხრიდან, შენობის უკანა ფასადზე ან მოინახოს მისი განთავსების ისეთი ალტერნატიული ადგილი და ამასთანავე შეიფუთოს არსებულ შენობასთან მისადაგებით თანამედროვე დიზაინის არქიტექტურული ელემენტით, ისე, რომ მისი ხილვადობა ნაკლებად თვალსაჩინო იქნება.

აღნიშნულიდან გამომდინერე წარმოსადგენია როგორც ახლო ასევე შორი ხედიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და მასზე დამუშავებული, სამსახურის ყველა რეკომენდაციის გათვალისწინებით ფოტომონტაჟი.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.